განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„საქართველოს ყოფილი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების ოჯახის წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან ასამოქმედებელი საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტი, რომლის თანახმადაც, საქართველოს პრეზიდენტმა მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული უფლებამოსილებანი უნდა განახორციელოს.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ „საქართველოს ყოფილი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების ოჯახის წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-11, 121, მე-14 და მე-18 მუხლები შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტთან, რომელიც 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან უნდა ამოქმედდეს.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

საქართველოს კონსტიტუციის დღესდღეობით მოქმედი 73-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია არამხოლოდ კონსტიტუციით, არამედ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებანიც განახორციელოს. 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან, აღნიშნულ კონსტიტუციურ ნორმას ჩაანაცვლებს 73-ე მუხლის მე-5 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, საქართველოს პრეზიდენტს მხოლოდ კონსტიტუციით განსაზღვრული უფლებამოსილებების გახორციელების შესაძლებლობა ექნება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია ცვლილება შევიდეს „საქართველოს ყოფილი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების ოჯახის წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 და მე-9 მუხლებში და შეიცვალოს ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც საქართველოს პრეზიდენტი სარგებლობს

უფლებამოსილებით საქართველოს უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირის (ყოფილი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირის) გარდაცვალების შემდეგ მისი ოჯახის წევრს (წევრებს) საკუთრებაში გადასცეს სახელმწიფო აგარაკი ან/და პერსონალური სატრანსპორტო საშუალება და შეუნარჩუნოს სახელმწიფო დაცვით სარგებლობის უფლება. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლისა (საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს სახელმწიფო ქონების მართვას) და „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის შესაბამისად (სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური არის საქართველოს მთავრობის დაქვემდებარებაში არსებული დაწესებულება), აღნიშნული უფლებამოსილება მიზანშეწონილია განახორციელოს საქართველოს მთავრობამ.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისიწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

არ არსებობს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასხდელის ოდენობის განსაზღვრას და შესაბამისად არ ადგენს მისი განსაზღვრის წესს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგებეა ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:
კანონპროექტი არ ეწინაარმდეგება საერთასორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავსირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალხმრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
არ არის.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
არ არის.

ე) კანონპროექტის ავტორი:
საქართველოს პარლამენტის წევრები: ირინე იმერლიშვილი, ანი მიროტაძე

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:
საქართველოს პარლამენტის წევრები: ირინე იმერლიშვილი, ანი მიროტაძე